სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/92 29.09 2020 წ

2020-2021 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის დანიშვნის შესახებ

2020-2021 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს ონლაინ (Microsoft teams, Form, სწავლების პორტალი - Moodle) ფორმატით შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

1. აგრარული ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 10 სთ.
2. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 10 საათი (გარდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისა).
   - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დარეგისტრირებულ მაგისტრანტობის კანდიდატებს 1 ოქტომბერს 10 საათზე ჩაუტარდებათ გამოცდა უცხო ენაში, ხოლო 2 ოქტომბერს 10 საათზე გამოცდა სპეციალობაში.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 12 საათი.
4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 12 საათი.
5. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 12 საათი.
6. პედაგოგიური ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 14 საათი.
7. მედიცინის ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 14 საათი.
8. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 1 ოქტომბერი 16 საათი.
9. ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებთაც სამაგისტრო პროგრამებზე რეგისტრაციის დროს განაცხადში დაფიქსირებული აქვთ ორი სამაგისტრო პროგრამა მეორე პროგრამის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას ჩააბარებენ 2 ოქტომბერს 12 საათზე.
10. გამოცდების ორგანიზება დაევალოს ფაკულტეტებს და ფაკულტეტის შიგნით, ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით გამოყოფილ ტექნიკურ ჯგუფს.
11. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს დაევალოთ საგამოცდო ტესტებისა და საკითხების შესაბამის პროგრამაში ატვირთვა და საგამოცდო დროის განსაზღვრა.

12. სარეგისტრაციო კომისიას (ე. უკლება) დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს მიაწოდოს დარეგისტრირებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია.

13. ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ოთარ შენგელიასა და მულტიმედიური ლაბორატორიის დეველოპერს დავით კეთილაძეს დაევალოთ გამოცდების ტექნიკური უზუნველყოფა.

14. სააპელაციო განცხადებების მიღება განახორციელოს სარეგისტრაციო კომისიამ (ე.უკლება) ელექტრონულად registracia@atsu.edu.ge 2020 წლის 3 ოქტომბერს 10^{00} საათიდან 14^{00} საათამდე.

15. სააპელაციო განცხადება მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ დაწერილი უნდა იყოს რექტორის სახელზე და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაფიქსირებული დარღვევის შინაარსის შესახებ.

16. სააპელაციო განცხადებების განხილვა შედგება ონლაინ 3 ოქტომბერს 15^{00} საათიდან.

17. მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ.ვალიშვილი) დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი **ასოც. პროფ. შ. კირთაძე**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი **პროფ. ი. ბასილაძე**